პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 (18547) პარასკევი, 7 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ამ პოლიტიკურ დეკლარაციაში ჩამოაყალიბეს თავიანთი უანგარო მოდგენა თანამედროვე პირობებში მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და გაღრმავების გზებსა და საშუალებებზე, აცხადებენ, რომ მზად არიან დიალოგისა და თანამშრომლობისათვის ყველასთან, ვინც ამ დიადი მიზნის მიღწევას ესწრაფვის.

(ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური დეკლარაციიდან, რომელიც მიღებულია პრაღის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე 1983 წლის 5 იანვარს).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური დეკლარაცია

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა წარმომადგენლებმა, რომლებიც 1983 წლის 4-5 იანვარს პრაღაში შეიკრიბნენ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე, ერთობლივად განიხილეს ევროპაში შექმნილი ვითარება ახლანდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით და ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ზოგიერთ სხვა საერთაშორისო საკითხზე.

ხელმძღვანელობენ რა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობისათვის დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, ისინი საჭიროდ მიიჩნევენ განაცხადონ შემდეგი.

I.

ახლანდელ თათბირზე წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1978 წლის მოსკოვის და 1980 წლის ვარშავის დეკლარაციებში ყველა ქვეყნისა და ხალხის ყურადღება მიაპყრეს მშვიდობისადმი გაზრდილ საფრთხისა და იმის, რომ საჭიროა წინააღმდგომ საერთაშორისო ვითარების გამწვავებას ახლა ისინი შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ აგრესიული ძალების შემდგომი გააქტიურების შედეგად მსოფლიო მოვლენათა განვითარება კიდევ უფრო საშიშ სახეობას იძენს.

სულ უფრო ახირებულად იქცევიან ის წრეები, რომლებსაც სურთ შეარყიონ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთადერთი გონივრული საფუძველი — მშვიდობიანი თანაარსებობა. საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებაში საგრძნობ პროგრესს, რომელმაც 70-იან წლებში გავლენა მოახდინა მსოფლიოს საქმეთა საერთო განვითარებაზე, ახლა საფრთხე შეექმნა. მნიშვნელოვანი ზარალი ადგება დაძაბულობის შენელების ტენდენციას, რომელმაც დადებითი შედეგები მოუტანა ხალხებს, თანამშრომლობა იცვლება კონფრონტაციით, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიან საფუძვლებს, საეჭვოდ ხდიან სახელმწიფოთა პოლიტიკური კონტაქტების, ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

გამალებული შეიარაღება გადადის თვისებრივად ახალ, ბევრად უფრო საშიშ ფაზაში, ამასთან მოიცავს ყველა სახეობის შეიარაღებას, როგორც ბირთვულს, ისე ჩვეულებრივსაც, ყველა სახეობის სამხედრო საქმიანობას, პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა რაიონს.

ღვივდება დაძაბულობის ძველი კერები, იქმნება ახალი კონფლიქტები და კრიზისული სიტუაციები. ხელს უშლიან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა იმ მეცადინეობას, რომ გამონახონ სადავო პრობლემების — მსოფლიო და რეგიონალური პრობლემების გადაჭრის საშუალება დაინტერესებულ მხარეთა თანასწორუფლებიანი მოლაპარაკების გზით, სულ უფრო მატულობს გადასაწყვეტი საერთაშორისო საკითხები. იმპერიალისტური წრეები ამორიცხავენ ძალის, ზეგავლენის, დიქტატის, საშინაო საქმეებში ჩარევის, სახელმწიფოთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შელახვის პოლიტიკას, ცდილობენ დაამკვიდრონ და გადაანაწილონ „გავლენის სფეროები“. მათი მიზანია თავიანთი სახარგებლოდ გამოიყენონ ყოველგვარი უთანხმოებანი და გართულებანი, რომლებიც თავს იჩენს სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ყოველი ხიძნელი, რომელსაც შეიძლება განიცდიდეს სხვადასხვა ხალხი.

დაბრკოლებანი იქმნება ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ნორმალური განვითარების გზაზე, ეკონომიკურ „ხანქიებსა“ და ემბარგოს იყენებენ პოლიტიკის იარაღად, რაც კიდევ უფრო ართულებს არსებულ ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრას. იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ეკონომიკური კრიზისის სიმძიმე დააკისრონ ხალხებს, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების ხალხებს. უზარმაზარი სამხედრო ხარჯები სულ უფრო მძიმე ტვირთად აწევს ხალხებს, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, აფერხებს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

XX საუკუნის დამლევს კაცობრიობის წინაშე მწვავედ დადგა სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური ხასიათის გლობალური პრობლემები. მსოფლიოში საჭირო ძალების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ახლანდელი დონე უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებს, რათა შეეუფლებელ ამ გლობალურ პრობლემათა პრაქტიკულ გადაჭრას. მაგრამ ამ მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ხელს უშლიან რეაქციის ძალები, რომლებიც ამორიცხავენ მთელი კონტინენტების ჩამორჩენილობის კონსერვაციის, სახელმწიფოთა გათიშვისა და ერთმანეთისადმი დაპირისპირების კურსს..

ამრიგად, მთლიანად ვითარება სულ უფრო რთულდება, იზრდება საერთაშორისო დაძაბულობა, ძლიერდება ომის, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული ომის საფრთხე.

მოვლენათა ამ ხაზში განვითარებია საპირისპიროდ სულ უფრო დადებითი და მტკაცედ ვლინდება ხალხების, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების გადაწყვეტილება — ბოლო მოუღონ ძალისა და კონფრონტაციის პოლიტიკას, უზრუნველყონ მშვიდობის დაცვა, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ხაზგრძელების ურღვევობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავიანთი ბედის განკარგვის უფლებისა და სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები.

ამიტომ თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები დარწმუნებულნი არიან, რომ რაგინდ რთული უნდა იყოს მდგომარეობა მსოფლიოში, არსებობს საერთაშორისო ურთიერთობაში საშიში ეტაპის დაძლევის შესაძლებლობანი. მოვლენების ახლანდელი მიმდინარეობა შეიძლება და კიდევაც უნდა შეჩერდეს, ხოლო მათი განვითარება ისეთი მიმართულებით უნდა წარიმართოს, რომელიც ხალხთა მისწრაფებებს შეესაბამება.

ამისათვის მშვიდობის სასწორის პინაზე დებენ მთელ თავიანთ საერთაშორისო ავტორიტეტს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალს სოციალისტური ქვეყნები, რომელთა მშვიდობისმოყვარეობა მათი საზოგადოებრივი წყობილების თვით ბუნებით განისაზღვრება.

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების სახარგებლოდ მოქმედი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მიუხრობლობის მოძრაობა. საერთაშორისო კლიმატის გაუარესების წინააღმდეგ ილაშქრებენ მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებიც.

დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები, სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების მოძრაობები ხშირ ამალლებენ გამალებული შეიარაღებისა და ომის, ბირთვული ომის საფრთხეს წინააღმდეგ. მასობრივი ომის საწინააღმდეგო გამოსვლებით გამოხატავენ მშვიდობისადმი მისწრაფებას მილიონობით უბრალო ადამიანი ყველა კონტინენტზე.

მშვიდობის ძალები უფრო ძლიერია, ვიდრე ომის ძალები. ყველაფერი დამოკიდებულია მათ შეკავშირებასა და მათი მოქმედების მიზანდასახულობაზე.

საერთაშორისო ვითარების ანალიზის საფუძველზე პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ალტერნატივად უყენებენ ბირთვულ კატასტროფას და მოუწოდებენ სახელმწიფოებს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისთვის ქვეყნად ცივილიზაციის და სიცოცხლის შენარჩუნების საკეთილდღეოდ.

II.

ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში ცენტრალური ადგილი უკავია გამალებული შეიარაღების ალაგმვის, განიარაღებაზე, განსაკუთრებით ბირთვულ განიარაღებაზე გადასვლის აჩქარებას.

ბირთვული იარაღის შეუფავებისა და წარმოების, აგრეთვე უახლეს სამეცნიერო მიღწევებსა და აღმოჩენებზე დაფუძნებული იარაღის, მათ შორის კოსმოსში და კოსმოსიდან ხანძრძოლო ოპერაციების წარმოებისათვის საჭირო სიხტეზენისა და საშუალებების შემუშავების უკანასკნელ ხანს მიღებული ამერიკული პროგრამები, რომლებიც უკვე ხორციელდება, მიზნად ისახავს იმას, რომ მრავალგზის გაიზარდოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო არსენალის, კერძოდ, ევროპაში განლაგებული არსენალის, დამანგრეველი ძალა. შეიარაღების ზრდის ეს პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი მისი მოკავშირე აღგენენ სამხედრო უპირატესობის მიღწევის მიზნით, საერთაშორისო სტაბილურობის დარღვევას იწვევს.

მათ მიერ წამოყენებული ახალი სამხედრო პროგრამები განუყრელად არის დაკავშირებული სტრატეგიული კონცეფციებისა და დოქტრინების — „პირველი განმაიარაღებელი ბირთვული დარტყმის“, „შეზღუდული ბირთვული ომის“, „გაგიანურებული ბირთვული კონფლიქტისა“ და სხვათა — ეს ალაგაციასთან. ყველა ამ აგრესიულ დოქტრინას, რომლებიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას, საფუძვლად უდევს ვარაუდი, თითქოს შეიძლებოდეს ბირთვულ ომში გამარჯვება, თუ ბირთვულ იარაღს პირველი გამოიყენებ.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მთელი ძალით უსვამენ ხაზს, რომ უგულებელია ბირთვული ომის გაჩაღებისა და ამ ომში გამარჯვების ყოველი ვარაუდი. ბირთვულ ომში, თუ იგი გაჩაღდა, არ შეიძლება იყოს გამარჯვებული. მას გარდაუვალად მოჰყვება მთელი ხალხების დალუპვა, კოლოსალური ნგრევა და კატასტროფული შედეგები ქვეყნად ცივილიზაციისა და თვით სიცოცხლისათვის.

ამგვარ ვარაუდზე დაფუძნებულ სამხედრო პოლიტიკას გარდაუვალად მოჰყვება სხვა უაღრესად საშიში შედეგებიც.

ჭეშ ერთი, ბირთვული იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა სულ ახალ-ახალი სახეობების შექმნა და განლაგება კიდევ უფრო მეტად შეარყევს სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობას, გააძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას, გაართულებს სახელმწიფოთა ურთიერთობას.

მეორე, გამალებული შეიარაღების ახალი გაძლიერება ეწინააღმდეგება ნულ უფრო დაბალ დონეზე სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის შენარჩუნების მიზანს, რასაც ეხრაფიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ილაშქრებენ სამხედრო მეტოქეობის წინააღმდეგ. შეიარაღების გაძლიერების აღნიშნული პროგრამების განხორციელება გამოიწვევს სამხედრო კონფრონტაციის დონეთა ამაღლებას. მშვიდობა კიდევ უფრო ნაკლებად მყარი, უფრო სუსტი გახდება.

მესამე, გამალებული შეიარაღების ახალი ტურის შედეგად კიდევ უფრო გართულდება ბირთვული იარაღი და მასობრივი დაზიანების სხვა საშუალებანი. ამით ბევრად უფრო გაძნელდება მათი შეზღუდვისა და შემცირების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებათა შემუშავება.

ყოველივე ამის გამო თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ უნდა იმოქმედონ დაუყოვნებლივ, სანამ შესაძლებელია გამალებული შეიარაღების ალაგმვა, განიარაღებაზე გადასვლა. ამასთან ისინი ხელმძღვანელობენ იმით, რომ ყველა სახელმწიფო თუკი უფრთხილდებიან თავიანთი ხალხის, მთელი კაცობრიობის ბედს, ობიექტურად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ არ დაუშვას ომისაკენ დაქანება.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ სახელმწიფოებმა, და განსაკუთრებით ბირთვულმა სახელმწიფოებმა, გამოიჩინონ პოლიტიკური ნება და თანამშრომლობისათვის მზადყოფნა. მათ სამხედრო პოლიტიკას საფუძვლად უნდა ედოს მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი მიზნები და ითვალისწინებდეს ყველა სახელმწიფოს უშიშროების კანონიერ ინტერესებს. იგი არ უნდა ართულებდეს იმ შეთანხმებათა მიღწევას, რომელთა მიზანია შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ეფექტიანი შემცირება, ამასთან თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის ზუსტი დაცვა.

ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილენი მოელიან, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით იკისრა ვალდებულება პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი, ანალოგიურად მოქცევენ ყველა ის ბირთვული სახელმწიფო, რომლებსაც ეს დღემდე არ გაუკეთებიათ.

ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა მკვლევარ წერტილიდან დაძძრას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რეალური შეზღუდვისა და შემცირების საქმე. ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ სხვა სახელმწიფოებს მნიშვნელოვნად გააქტიურონ მიმდინარე და განაახლონ შეწყვეტილი მოლაპარაკება გამალებული შეიარაღების ალაგმვის საკითხთა მთელი კომპლექსის თაობაზე, დაბეჯითებით და მოთმინებით ილავრონ იმ მორიგებათა მიღწევისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს იარაღის, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის შემცირებასა და ლიკვიდაციას. ისინი მზარს უჭერენ და მიესალმებიან საბჭოთა კავშირის წინადადებებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების დარგში.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ წარმატებას მიაღწიონ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე.

თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სამხედრო თვალსაზრისით დიდ სახელმწიფოთა შორის იმ მორიგების მიღწევა, რომ შეიჩერონ თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების ზრდა. ამასთან დაკავშირებით ისინი ყურადღებით აღნიშნავენ, რომ ბირთვული არსენალების გაყინვას მხარს უჭერენ ახლა სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა და მსოფლიოს საზოგადოებრივობის სულ უფრო ფართო წრეები. ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ხორცშესხმა იქნებოდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული დანშნულების იარაღის ურთიერთგაყინვა რაოდენობრივი თვალსაზრისით და მისი მოდერნიზაციის მაქსიმალური შეზღუდვა.

შემდეგ, თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები გადაჭრით მოითხოვენ, რომ შეიმუშაონ ეტაპობრივი ბირთვული განიარაღების პროგრამა, ხოლო ამ ფარგლებში — მორიგებანი იმის თაობაზე, რომ შეწყდეს ბირთვული იარაღის ახალ სიხტეზენთა შემუშავება და წარმოება, ამ იარაღის სხვადასხვა სახეობის შექმნის შეზნონი ხელიფლება, ბირთვული იარაღის მიტანის საშუალებათა წარმოება. ყოველივე ეს შექმნის ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის გზით წინსვლის წანამძღვრებს.

მათ საჭიროდ მიაჩნიათ აგრეთვე დაჩქარდეს მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებზე მორიგებათა მიღწევა და ამასთან დაკავშირებით მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს ახალი იმპულსი მისცეს მოლაპარაკებებს, მათ შორის ყურადღება განაიარაღების კომიტეტის ფარგლებში, იმ მიზნით, რომ:

უახლოეს ვადაში შეიმუშაონ ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ;

(დასასრული მე-2 გვ.).

1983 წელს — ჩვენი შემართება!

საშური სტაბილურობა

თბილისი. „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი კვლავ სოციალისტური შეჯიბრების ლიდერია. ელექტრიკოსებმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მუშაობის სწრაფი ტემპი მიიღეს და ინარჩუნებენ კიდეც მას.

როგორც ცნობილია, გაერთიანების კოლექტივმა რამდენჯერმე გადააჭარბა შარშანდელ ნაკისრ ვალდებულებას და გეგმის გადამეტებით დაახლოებით ორი მილიონი მანეთის პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს.

წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის შუდმივმა ბრძოლამ განაპირობა გაერთიანებაში ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის სტაბილურობა.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, მისი სახელმძღვანელო მითითებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე გაერთიანების მრავალთასაანი ელექტივის ყურადღების ცენტრშია. ეს დოკუმენტი გახდა ყოველდღიური მუშაობის კონკრეტული სამოქმედო პროგრამა.

გაერთიანების პროდუქციაზე — მაგნიტურ ელექტროამმუშავებლებზე, ელექტროავტომატებზე, მაგნიტურ სადგურებზე, სასიგნალო არმატურაზე, სახალხო მოხმარების საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ელექტრიკოსებმა არაერთხელ დაამსახურეს მომხმარებელთა მადლობა დაკვეთების ოპერატიული შესრულებისათვის. მათ, მაგალითად, თავის დროზე, სასიამოვნო მადლობის ბარათი მიიღეს ლენინგრადისა და ტაშკენტის მეტროპოლიტენის მშენებლებისაგან, სხვა ორგანიზაციებისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ მოგველის ძნელი და დაძაბული მუშაობა, რომ ჩვენ გვაქვს დიდი რეზერვები და ისინი უნდა ვეძიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების უფრო სწრაფ დანერგვაში. ელექტრიკოსები მზად არიან ამ მითითებათა შესრულებისათვის, ყოველგვარი სირთულის დაძლევისათვის.

პირველი მოსამართები, რომლებითაც პროდუქცია გაგზავნა გორის საკონსერვო მრეწველობის საწარმოო აგრარული გაერთიანების ახალმა საამქრომ, იყო ბიაკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა ტიბგამი გაფანტული დაბები, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქები. მისი მწყობრში ჩადგომით დამთავრდა

შეჯიბრების მოწინავენი

გაერთიანების საწარმოთა რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი, რის შედეგად მისი სიმძლავრე გაიზარდა 20 მილიონი პირობითი ქილა დაკონსერვებული ბოსტნეულითა და ხილით.

... გულუხვი ოქროს შემოდგომა მთელი წლის განმავლობაში მეფობს გაერთიანების საამქროებში. ყველგან კომშის, სახელგანთქმული „გულაბის“ ჯიშის მსხლის სურნელია. კონვეიერებზე მიემართება ასობით ქილა მურაბა, ჯემი, ხილის წვენი.

მთავარი № 1 საამქროს უფროსი ი. გობეკაშვილი განმარტავს:

— ჩვენ დაკონსერვების ყველაზე ეკონომიურ ხერხს ვიყენებთ. წვენს ვასხამთ სტერილიზებულ ჭურჭელში წინასწარი სპეციალური დამუშავების გარეშე. მართალია, ამ სპეციალურ მუშაობის დიდი ოსტატობა: ბევრ რამეს უნდა მიაქციო ყურადღება, რაც მთავარია — ჭურჭელში ჰაერი რომ არ მოხვდეს. მაგრამ თუ პირობა დაცულია, ჩვენ არა მარტო უზრუნველვყოფთ შენახვას, პროდუქციის მაღალ ხარისხს, არამედ ბევრ ნედლეულსაც ვზოგავთ. ჩვენმა მოშაკებმა კი თავიანთი საქმე. იციან. ისეთი დამოკიდებული ოსტატები, როგორიც არიან თამარ მაჭარაშვილი, ანეკა ამირხანშვილი, მრავალი წლის მუშაობის მანძილზე მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

... ამჟამად საწარმოში გაცხარებული მუშაობაა. დღისით და ღამით მოდიან კომშით, მსხლით, ფაშლით დატვირთული მანქანები. გადავამუშაოთ ხილი სწრაფად და მაღალხარისხოვნად — ამ ამოცანას გორელი მეკონსერვეები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატში ინახება 70 ათას ტონაზე მეტი ხილბოსტნეული. ეს მარაგი საკმარისია იმისათვის, რომ თბილისისა და რუსთავის მცხოვრებლები ბაღ-ბოსტნის ახალი პროდუქციით შეუფერხებლად მოამარაგონ მთელი ზამთრისა და გაზაფხულის მანძილზე.

პროდუქცია მოთავსებულია საკნებში, რომლებიც მინუსიანი ტემპერატურამდე ცივდება. ბოსტნეული ინახება კონტეინერებში, რაც არა მარტო ამცირებს დანაკარგებს, არამედ მათი გაგზავნის მექანიზაციის საშუალებასაც იძლევა.

სავაჭრო ქსელში იგზავნება დაფასოებული პროდუქცია.

— ბოსტნეულის რეალიზაციის პროგრესული ფორმაზე ამ ცოტა ხნის წინათ გადავედით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამბინანის დირექტორმა მ. კუტანაძემ, — ეს შესაძლებელი გახდა ბოსტნეულისაცავის გაახლებისა და მოდერნიზაციის შეორეთით. საცავში დადგმულია წვრილი დაფასოების მანქანები, მექანიზმები ბოსტნეულის- ალ- გადმოტვირთვისა და დახარისხებისათვის.

კარტოფილითა და სხვა ბოსტნეულით თბილისისა და რუსთავის მომპარაგება უფრო რიტმული გახდა, მაგრამ მათი ხარისხი ყოველთვის არ აკმაყოფილებს მომხმარებელს. ჩვენ მივმართავთ ღონისძიებებს, რათა გამოვასწოროთ მდგომარეობა.

შესანახად არსებული პროდუქციის მოცულობის გადიდებამ სხვა ბევრი პრობლემაც გაგვიჩინა. მაგალითად, ყოველგვარი კარტოფილი და ბოსტნეული როდი ინახება დიდხანს, თუნდაც ცივ სათავსებში. სხვადასხვა რეგიონიდან შემოსული პროდუქცია შენახვის სხვადასხვაგვარ პირობებს მოითხოვს. ყველაფერი არ არის გაკეთებული სასაწყობო შენობების კომპლექსური მექანიზაციისათვის. ვცდილობთ, რაც შეიძლება სწრაფად გადავწყვეტოთ ეს პრობლემები. ამ საქმის ხელშეწყობას ისახავს მიზნად ახლახან შექმნილი სპეციალური ლაბორატორიაც.

70 ათას ტონაზე მეტი

სოვან ტემპერატურამდე ცივდება. ბოსტნეული ინახება კონტეინერებში, რაც არა მარტო ამცირებს დანაკარგებს, არამედ მათი გაგზავნის მექანიზაციის საშუალებასაც იძლევა.

— ბოსტნეულის რეალიზაციის პროგრესული ფორმებზე ამ ცოტა ხნის წინათ გადავედით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამბინანის დირექტორმა მ. კუტანაძემ, — ეს შესაძლებელი გახდა ბოსტნეულ-ბაღჩეულეთა ელ-ბაზის ინტენსიური ტექნიკურ-ეკონომიკური ინდიკატორების ამაღლებისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულეთა ელ-ბაზის ინტენსიური ტექნიკურ-ეკონომიკური ინდიკატორების ამაღლებისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულეთა ელ-ბაზის ინტენსიური ტექნიკურ-ეკონომიკური ინდიკატორების ამაღლებისა

საფირე მეცხოველეთა გარჯა

ტყიბული. საწირის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — დ. ქათამაძე) მეცხოველეები წლების განმავლობაში ერთ-ერთი მოწინავენი არიან ქალაქის ზონაში. შარშან ფერმის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი, მნიშვნელოვნად შეამცირეს შრომის დანახარჯები და პროდუქციის თვითღირებულება.

საწირლებისათვის განსაკუთრებით სასახელოა მიღწეული წარმატებანი. საიუბილეო წელს აწარმოვეს 274 ტონა რძე და 40,6 ტონა ხორცი. სახელმწიფოს მიეყიდა 220,4 ტონა რძე და 37,5 ტონა ხორცი, გაცილებით მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. თითოეულ ძროხაზე გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 1500 ლიტრი რძის ნაცვლად მოწველილია 1522 ლიტრი რძე.

წარმატებებით გახალისებული ფერმის მუშაკები ახალ წელს ახალი ენერგიით შრომობენ. ფერმის ნოვატორმა, მწველავმა ნინო ბუბაშვილმა, რომელიც 25 ძროხას უვლის, იანვრის პირველ დღეებში გეგმის გადამეტებით ასობით ლიტრი რძე მოწველა. შემართებით შრომობს ნ. ბუბაშვილის თანამოსაქმე ანა ცქვიფურიშვილი, რომელიც 18 ძროხას უვლის. ენერგიული შრომით ყველას პატივისცემას იმსახურებს მწყემსი მელენტი ცირეკიძე. იგი ორ ათეულ წელზე მეტია ამ საპატიო საქმეს ემსახურება.

მეცხოველეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წლევანდელი წელი შარშანდელზე ბარაქიანი იყოს.

კოლმეურნეობის სანახები, სავარგულები ახლა თოვლმა დაფარა. სოფელში არათუ შრომა, მიმოსვლაც გაჭირდა. ასეთ რთულ ვითარებაში პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და სამეურნეო ორგანოებმა სათანადო ღონისძიებანი განახორციელეს, რამაც მდგომარეობა გამოასწორა და მუშაობის ნორმალური რიტმი არ დარღვეულა.

ზონის სოფლების მეცხოველეობის ფერმები უფრო დაათბუნეს, რაციონალურად იყენებენ პირუტყვის საკვებს და პროდუქტების წარმოებაც არ მცირდება, ზოგან მატულობს კიდეც.

მწველავებიც, მეცხოველეობის სპეციალისტებიც ყოველნაირად ცდილობენ რათა ზამთარში პროდუქტების წარმოება არ შემცირდეს.

იბრძვიან უკეთესი მაჩვენებლებისათვის

ფასდაუდებელია 26 კომისრის რაიონის სამრეწველო ობიექტების წვლილი ჩვენი დედაქალაქისა და საერთოდ რესპუბლიკის მიერ ამ ბოლო წლების მანძილზე მიღწეულ წარმატებებში. ამ რაიონში განლაგებული საყოველთაოდ ცნობილი ისეთი საწარმოები, როგორიც არის კერამიკული კომბინატი, ცხინკომბინატი, „სექტიმფარმბრეპარატი“, მექანიკური ქარხნები, „ისნის“ საწარმოო გაერთიანება, პოროპროდუქტების კომბინატი და სხვა მრავალი.

ზოგიერთი ზემოთ დასახელებულ საწარმოს კოლექტივის მუშაობა მისაბაძია, მათ შორის გახლავთ, მაგალითად, კერამიკული კომბინატი. აქ დამზადებულ მოსაპირკეთებელ ფილებზე, მხატვრულ კერამიკაზე და სხვა სახეობის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში. კომბინატის მშრომელთა ნახელავი იგზავნება საფრანგეთში, ლიბანში, ჩეხოსლოვაკიაში... პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შეუნელებელი ბრძოლა ის ფაქტი, რომ საწარმოში გამოშვებული 49 სახეობის ნაწარმს სპეციალური ხუთკუთხედი ამშვენებს. წარმატებები აქვს მოპოვებული ეგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაიონის სხვა საწარმოთა კოლექტივებს.

მაგრამ ეს რაიონის მრეწველობის მუშაკებს თვითდამშვიდების საშუალებას როდი აძლევს. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ რაიონის ეკონომიკამ და, კერძოდ, მრეწველობამ მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა. საჭიროა წარმოების მოცულობის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი, თითოეულ სამუშაო ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება, რეზერვების გამოვლინება და მისი მაქსიმალური გამოყენება, ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება და მრავალი სხვა. სწორედ ნაკლოვანებებზე გამახვილდა ყურადღება პარტიის 26 კომისრის რაიკომის ბიუროს გაფართოებულ გამსჯელელ სხდომაზე, რომელიც საწარმოო გაერთიანება „ისანში“ გაიმართა.

ეს ინიციატივა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ი. ხუციშვილს ეკუთვნის, რომელიც ენერგიულად იბრძვის რაიონის საუკეთესოთა რიგებში ჩასაყენებლად.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. მათ ილაპარაკეს ძირითადად იმის შესახებ, თუ რას აპირებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

ისაუბრეს იმ გზებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს იმ შესაძლებლობათა მთლიან გამოვლენას, რომლებიც დაეხმარება მათ წარმოების კულტურის მკვეთრ ზრდაში, მთელი რიგი საორგანიზაციო და ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვაში, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვაში, სამშმსრულებლო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში.

ბიუროომ განიხილა რაიონის სამრეწველო საწარმოების მიერ გასული წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულების მდგომარეობა. აქ მკაცრად ითქვა იმის შესახებ, თუ როგორი რეზერვებითა და შესაძლებლობებით შეხვდნენ რაიონის სამრეწველო ობიექტების კოლექტივები მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს, რომელმაც მთავარი როლი უნდა შეასრულოს მთლიანად ხუთწლედით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში. ითქვა, თუ რამდენად უმცდავდებიან რაიონის საწარმოები ამ ამოცანათა გადაწყვეტას, თუ როგორ დახ

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური დეკლარაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

დაიჩქარონ ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შემუშავება;

დაიწყონ ნეიტრონული იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის შემუშავება;

დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოლაპარაკებას კოსმოსურ სივრცეში ყოველგვარი იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ;

რაც შეიძლება მალე დაამთავრონ რადიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შეთანხმება;

დაიჩქარონ უბერთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების საკითხის გადაწყვეტა.

თანმბირის მონაწილენი, რომლებიც კვლავინდებურად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს გაფართოვდა იმ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც უერთდებიან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, და გამოთქვამენ იმედს, რომ სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ შეუერთდნენ მას, უახლოეს მომავალში გადადგამენ ამ ნაბიჯს. მათ საჭიროდ მიაჩნიათ მიაღწიონ საერთაშორისო მორიგებას, რომ არ განლაგონ ბირთვული იარაღი იმ ქვეყნებში, სადაც იგი ახლა არ არის, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც იგი უკვე განლაგებულია, — აღარ გაზარდონ იგი.

მათი აზრით, საყოველთაო უშიშროების განმტკიცებასა და ამავე დროს ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას შეეხებამება იმ ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხო განვითარებას, ყოველგვარი საშუალების გამოყენებით მშვიდობიან ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმის დაუშვებლობას.

თვალისწინებენ რა ჩვეულებრივი იარაღის განუწყვეტელ სრულყოფასა და მზარდ ძლიერებას, საჭიროა ახალი ღონისძიებების განხორციელება ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ამლანდელი დონეების არსებითი შემცირებისათვის როგორც გლობალური მასშტაბით, ისე ცალკეულ რაიონებში და ამ მიზნით შესაბამისი მოლაპარაკების წარმოება. მიზანშეწონილია აგრეთვე განახლდეს მოლაპარაკება ჩვეულებრივი შეიარაღების გაყიდვისა და მიწოდების შეზღუდვის შესახებ.

თვალისწინებენ რა სამხედრო ფლოტების როლის ამაღლებას, თანმბირის მონაწილენი იმის მომხრე არიან, რომ დაიწყოს მოლაპარაკება სამხედრო-საზღვაო საქმიანობის შეზღუდვის, სამხედრო-საზღვაო შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების, ზღვებისა და ოკეანეების აკვატორიაში ნდობის ღონისძიებათა გავრცელების შესახებ. ისინი მოითხოვენ რომ სახელმწიფოებმა ხმელთაშუა ზღვიდან გაიყვანონ ბირთვული იარაღის მატარებელი ხომალდები, ხელი აიღონ ხმელთაშუა ზღვის უბირთვო ქვეყნების ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგებაზე.

თანმბირის მონაწილენი აღასტურებენ აგრეთვე თავიანთ უცვლელ პოზიციას იმის სასარგებლოდ, რომ გაანიარაღებელ ახალი ღონისძიებანი საერთაშორისო მასშტაბით სხვის ტერიტორიებზე უცხოთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და იქიდან ჯარების გამოყვანის მიზნით.

თანმბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ იმით, რომ შეიარაღების შემცირებისა და განიარაღების დარგის ყოველგვარი შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს მათი შესრულებისადმი კონტროლის შესაბამის ღონისძიებებს, კერძოდ, როცა ეს საჭიროა, საერთაშორისო პროცედურებსაც.

თანმბირის მონაწილენი, რომლებიც მხედველობაში იღებენ, რომ მზარდი სამხედრო ხარჯები უშუალოდ დაკავშირებულია გამალებული შეიარაღების გაძლიერებასთან, მოუწოდებენ ნატოს ქვეყნებს მიაღწიონ ხარჯ-ტიკულ მორიგებას სამხედრო ხარჯების გაუფიდებლობისა და პროცენტული ან აბსოლუტური გამოსატულებით მათი შემდგომი შემცირების შესახებ. მორიგება ამ საკითხზე, რასაკვირველია, უნდა მოიცავდეს დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე ყველა სახელმწიფოს. სამხედრო ხარჯების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ეკონომიური და სოციალური განვითარების მიზნით, მათ შორის ამ მიმართულებით განვითარებადი ქვეყნებისადმი ხელშეწყობისათვის.

თანმბირის მონაწილენი აცხადებენ, რომ მათი სახელმწიფოების წინადადებანი სამხედრო ხარჯების გაუფიდებლობისა და არსებითი შემცირების შესახებ, რომლებიც ერთად ან ინდივიდუალურად წამოაყენეს, ძალაში რჩება. ისინი წინადადებას იძლევიან დაუყოვნებლივ დაიწყოს უშუალო მოლაპარაკება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებსა და ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის.

შეკმენილი ვითარების შესაბამისად ამ პოლიტიკური დეკლარაციის მიმდებ სახელმწიფოთა უმაღლესი წარმომადგენლები აცხადებენ: ხალხებისათვის ახლა არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე, მშვიდობის შენარჩუნება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. ამ ამოცანის გადაწყვეტა ყველა მოვიდრეობ, ყველა სახელმწიფო მოღვაწის ვალია, რომლებიც თავიანთი ქვეყნების პოლიტიკას განსაზღვრავენ.

III.

ომის საშიშროების აღმოფხვრის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ამოცანის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია უშიშროების განმტკიცება ევროპაში. ამან განსაზღვრავს, უწინარეს ყოვლისა ის, რომ ევროპის კონტინენტზე თავმოყრილია უზარმაზარი რაოდენობის შეიარაღება, როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი, და უშუალოდ ეხებიან ერთმანეთს ორი სამხედრო კავშირის შეიარაღებული ძალები.

ამასთან ევროპაში სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობით შეკმნილია მათი კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის თანამიმდევრული განვითარების საფუძველი. თავიანთი გამოცდილებით ევროპის ყველა სახელმწიფო დარწმუნდა, თუ რა უპირატესობანი მოაქვს დაძაბულობის შენელებას. მათ შორის არ არიან ისეთნი, რომელთა ინტერესებს არ შეეხებამებოდეს დაძაბულობის შენელების შენარჩუნება და მისი მიღწევების გამრავლება.

ამ თვალსაზრისით თანმბირის მონაწილენი აღნიშნავენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებების ზუსტად დაცვას, რომლებიც დღევანდელი ევროპის ტერიტორიულ-პოლიტიკურ რეალობებს განსაზღვრავენ. ისინი განსაკუთრებით აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბერლინის საბოლოო აქტის ერთად შემუშავებულ, გულდასმით შეთანხმებულ პრინციპებსა და დებულებებს, რომლებსაც ყველა განუხრელად უნდა უწევდეს ანგარიშს და თანამიმდევრულად ახორციელებდეს.

გაანალიზეს რა ამჟამად ევროპაში შექმნილი ვითარება, თანმბირის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს ევროპის ხალხებისათვის ხერიოზულ საშიშროებას, რომელსაც ქმნის ნატოს ბლოკის განზრახვა — ხორცი შეასხას თავის გადაწყვეტილებას დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე საშუალო ხიშორის ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების შესახებ, რაც კვლავ დადასტურდა 1982 წლის დეკემბერში. ამ გადაწყვეტილების განხორციელება გარდაუვალად შეასუსტებს ნდობას და გააარესებს ვითარებას ევროპის კონტინენტზე.

თავის მხრივ თანმბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს საკვანძო ამოცანად მიაჩნიათ არ დაუშვან ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი ციკლის დაწყება, მიაღწიონ მის შემცირებისა და შეზღუდვას. ეს საჭიროა ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, კონტინენტზე სახელმწიფოთა ურთიერთობის დადებითი განვითარებისათვის, მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ამის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება ის, თუ ევროპა მთლიანად განთავისუფლდება როგორც საშუალო ხიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან. ისინი ამით ხელმძღვანელობენ, რომ, თუ ახალი ნამდვილი „ნულოვანი“ გადაწყვეტილების მიღება ამჟამად შეუძლებელია, მაშინ მიზანშეწონილი იქნება თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე ევროპაში საშუალო ხიშორის ბირთვული საშუალებების რადიკალური შემცირების გზაზე დადგომა. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებს ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. თანმბირზე აღინიშნა წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა 1982 წლის 21 დეკემბერს მოსკოვში გამოქვეყნებული წინადადებებით.

მაგრამ, ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს პირობებში, როცა ნატოს ქვეყნები აცხადებენ, რომ აპირებენ უკვე 1983 წლის დამლევისათვის დაიწყონ დასავლეთ ევროპაში საშუალო ხიშორის ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება, თუ მანამდე მოლაპარაკებაზე მიღწეული არ იქნება მორიგება. ასეთი მიდგომისას, რომელიც მოლაპარაკების დამთავრების ხელოვნური ვადის დაწესების ტოლფასია, მიხმა მომხრეებმა საკმარისია კვლავაც გააგრძელონ მოლაპარაკება, რათა შემდეგ მოიმზადონ, მორიგებებს ვერ მივაღწიეთო, და დაიწყონ ამერიკული რაკეტების პრაქტიკული განლაგება.

თანმბირის მონაწილეებს უაღრესად საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკება წარმოებდეს კონსტრუქციული სულისკვეთებით და ხორციელდებოდეს მაქსიმალური ღონისძიებანი მოლაპარაკებაზე კონკრეტულ მორიგებათა უსწრაფესი მიღწევისათვის. მოლაპარაკების წარმატებისათვის საჭიროა, რომ კი არ მიმართონ მოქმედებას, რომელიც გაართულებს ამას, არამედ, პირიქით, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მოლაპარაკების პროგრესისათვის სახიკეთო ატმოსფეროს შექმნას.

ითვალისწინებენ რა ევროპაში საშუალო ხიშორის ბირთვული იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის საარსებო მნიშვნელობას ევროპის ყველა ხალხისათვის, თანმბირის მონაწილენი გამოთქვამენ იმედს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო ხელს შეუწყობს ამ საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე საქმის წინ წაწევას და მის წარმატებით დამთავრებას.

თანმბირის მონაწილენი მხარს უჭერენ ევროპის განთავისუფლებას მასობრივი მოსპობის ისეთი იარაღისაგან, როგორიც ქიმიური იარაღია. მათი სახელმწიფოები მზად არიან სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად შეისწავლონ ყველა შესაძლო გზა და საშუალება ამ ამოცანის გადასაწყვეტად, და დაიწყონ შესაბამისი მოლაპარაკება.

თანმბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები გადაჭრით მოითხოვენ ევროპის მიწა-წყალზე ბირთვული არსებობის რადიკალურ შემცირებასა ქიმიური იარაღისაგან ევროპის განთავისუფლებას, და აგრეთვე აღნიშნავენ საფრთხეს, რომელსაც უქმნის ევროპას მშვიდობას კონტინენტზე დიდძალი ჩვეულებრივი შეიარაღების თავმოყრა. ეს საფრთხე ბევრად გაიზრდება იმ შემთხვევაში თუ განხორციელდა დასავლეთ ევროპაში ასეთი შეიარაღების უახლეს სახეობათა გადიდების გეგმები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას.

ისინი კვლავ მხარს უჭერენ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებას და განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნიათ მიაღწიონ იმას, რომ წინ წასწიონ საქმე ვენის მოლაპარაკებაზე, რომელიც უკვე მრავალი წელია გრძელდება. თანმბირის მონაწილეთა აზრით, ყველა წინაბძოვარია იმითათვის, რომ ვენის მოლაპარაკებაზე მორიგება შემუშავდეს რაც შეიძლება სწრაფად, დიდი-დიდი ერთ-ორ წელიწადში. და ძალზე მნიშვნელოვანია რომ ეს გაკეთდეს. ისინი თავის მხრივ ყველანაირად შეუწყობენ ხელს ამას.

ამ კონტექსტით თანმბირის მონაწილენი მხარს უჭერენ ცენტრალურ ევროპაში ერთმანეთის მაგალითის საფუძველზე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების პრაქტიკული ღონისძიების განხორციელებას. ამ ღონისძიების განხორციელებისადმი შეიძლება მოიწვიოს ორივე მხარის წარმომადგენლთა მეთვალყურეობა. მისი დამთავრების შემდეგ ვენის მოლაპარაკების უშუალო მონაწილეთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დონეები ორივე მხრივ გაიყინება მოლაპარაკებაზე შეთანხმების მიღწევამდე. თანმბირის მონაწილეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების პირველი ეტაპიერთშემცირების შემდეგ განაგრძონ ეს მოლაპარაკება და უფრო სწრაფად შეუდგნენ შემდგომ, უფრო დიდ შემცირებას.

თანმბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მზარს უჭერენ ჩრდილოეთ ევროპაში, ბალკანეთსა და კონტინენტის სხვა რაიონებში უბირთვო ზონების შექმნის, ხმელთაშუა ზღვის მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად გადაქცევის წინადადებებს. ისინი ალვწიან ამ საკითხების თაობაზე შესაბამისი მოლაპარაკების მოწყობისათვის.

ევროპაში არსებული ვითარება ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მოითხოვს სახელმწიფოთა მეცადინეობის გაერთიანებას დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და განიარაღების პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების მიზნით. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირით დაწყებული მრავალმხრივი პროცესის განგრძობა და გაღრმავება.

თვალისწინებენ რა ამას, თანმბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მხარს უჭერენ იმას, რომ სრულიად ევროპის თანმბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლთა მაღრიდის შეხვედრა დამთავრდეს შედეგიანად — შინაარსიანი და შეწონასწორებული საბოლოო დოკუმენტის მიღებით.

მათ უაღრესად საჭიროდ მიაჩნიათ მაღრიდის შეხვედრაზე მიაღწიონ იმ მორიგებას, რომ მოიწვიონ კონფერენცია ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებისა და განიარაღების თაობაზე, რომელმაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს მსოფლიოს ამ რაიონში სამხედრო კონფრონტაციის შესუსტებაში, უნდობლობის, შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების საკითხთა გადაჭრაში.

